ინგლის-გერმანიის ურთიერთობა 1908-1910 წლებში

ვაჟა ჩოჩია
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/gbsab.2025.55.09

საკვანძო სიტყვები: ედუარდ VII, ვილჰელმ II, ლონდონი, ბერლინი, ვენა.

შესავალი

ამ პერიოდში, ინგლისის პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენდა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე. მისი უარი „ბრწყინვალე იზოლაციის“ პოლიტიკაზე და აქტიური ჩარევა ევროპის კონტინენტზე წარმოშობილ წინააღმდეგობებში, კიდევ უფრო ამწვავებდა სიტუაციას. გარკვეულ დრომდე, ლონდონი მაინც ლავირების პოლიტიკას ანიჭებდა უპირატესობას ახდენდა გავლენას შექმნილ სტუაციაზე. ლონდონში კარგად იცოდნენ, გერმანიის ფინანსურ მაგნატებს აინტერესებდათ ომი, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის წინააღმდეგ, მისი უმდიდრესი კოლონიების დაპყრობისა და საბოლოოდ, მსოფლიო ბატონობის მოპოვების მიზნით.

დაძაბულობამ საერთაშორისო ურთიერთობებში თავის აპოგეას მიაღწია 1908-1909 წლების ბოსნიის კრიზისის დროს, როცა მსოფლიო დიდი ომის წინაშე იდგა. ამ კრიზისმა აჩვენა, რომ ანტანტა და სამთა კავშირი საბოლოოდ იყო ჩამოყალიბებული და მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ, რომ ძალის მეშვეობით გადაეწყვიტათ მათ წინაშე მდგარი საგარეო პოლიტიკური ამოცანები. ევროპის დიდ სახელმწიფოებს თავისი ინტერესები გააჩნდათ ბევრ რეგიონში და ეს იწვევდა დაპირისპირებას მათ შორის. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ინგლისი და გერმანია, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ლიდერები.

ლონდონში ძალიან იყვნენ შეშფოთებული გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარების პერსპექტივებით. ეს იმ პირობებში ხდებოდა, როცა გერმანიის მმართველი წრეები და განსაკუთრებით ფინანსური წარმომადგენლები ცდილობდნენ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობა მთელ მსოფლიოზე გაევრცელებინათ. ყოველივე ეს სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციას იწვევდა, ბიძგს აძლევდა გამალებულ შეიარაღებას და მაშასადამე, სამხედრო ხარჯების უზარმაზარ ზრდას.

ძირითადი ნაწილი

ორი ქვეყნის ურთიერთობა ეკონომიკურ პოლიტიკას ემყარებოდა. ინგლისი და გერმანია ენერგიისა და სახსრების დაუზოგავად, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გრანდიოზულ მშენებლობას ეწეოდნენ. ადმირალი ტირპიცი მთავარ იმედებს დიდი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობაზე ამყარებდა, როლის შემადგელობაში სახაზო გემები იქნებოდნენ.

1906 წელს ინგლისში წყალში ჩაუშვეს ახალი ზემძლავრი სამხედრო გემი „დრედნოუტი“(Dreadnought, ინგლისურად-უშიშარი, რომელსაც გააჩნდა მთელი რიგი ტექნიკური უპირატესობანი ძველ ჯავშნოსნებთან შედარებით შეიარაღების, სიჩქარის და ა. შ. მიხედვით). დიდი ბრიტანეთის საადმირალო ფიქრობდა, რომ

გერმანული ნავსაშენები წლების განმავლობაში ვერ შეძლებდნენ მსგავსი გემების აგებას და მათი გიგანტური ზომების გამო კილის არხში გატარებას[1]. მაგრამ, საადმირალო შეცდა. შექმნილი ვითარება გერმანიისათვის უფრო ხელსაყრელი ჩანდა, რადგან აქედან დაწყებული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერება უნდა გაზომილიყო უმთავრესად „დრედნოუტების“ რაოდენობით. ჯავშნოსნების ყველა ძველი ესკადრა ამ ახალი ტიპის გემებთან შედარებით მნიშვნელობას კარგავდა და ამდენად, საზღვაო შეიარაღებისათვის ბრძოლა თავიდან იწყებოდა[2].

გერმანიის და სხვა სახელმწიფოების მიერ დრედნოუტების მშენებლობაში მიღწეულმა წარმატებამ ინგლისის საზღვაო ძალების შედარებითი დასუსტება გამოიწვია: „ამჟამად, გერმანიის და ინგლისის დიდი საბრძოლო გემების შეფარდება გამოიხატება 10:16-თან. „დრედნოუტების“ მშენებლობის გარეშე ეს შეფარდება ვერ იქნებოდა მიღწეული. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისმა დაუშვა რა, პირველი შეცდომა -ჰელჰოლანდის დათმობა, თხუთმეტი წლის შემდეგ მიუმატა მეორე-დრედნოუტების მშენებლობა“. სიდნეი ფეი იგივე აზრისაა და ასეთ მონაცემებს უთითებს: 1908 წელს ინგლისმა წყალში ჩაუშვა 12 დრედნოუტი, გერმანიამ კი-9. ეს იმ დროს, როცა ძველი ჯავშნოსნების შეფარდებით ინგლისს დიდი უპირატესობა გააჩნდა გერმანიასთან შედარებით, 63:26-თან.

1908 წლის აპრილში გერმანიის რაიხსტაგმა მიიღო ადმირალ ტირპიცის პროექტი ფლოტის გაძლიერების შესახებ[5]. ეს კანონი ხელს უწყობდა ინგლის-გერმანიის წინააღმეგობების გამწვავებას. სამი წლის განმავლობაში, გერმანიას ყოველწლიურად უნდა აეგო ოთხი სახაზო გემი[6]. ლონდონის დიპლომატიური მანევრები, მუდმივად იწვევდა იმპერატორ ვილჰელმ II-ის ეჭვებს, რომ ინგლისი არა მხოლოდ საზღვაო ფლოტის მშენებლობაში შეუშლიდა ხელს, არამედ შეეცდებოდა გერმანიის „ალყაში“ მოქცევას სხვადასხვა გზებით. ამ ეჭვებს ისიც აღვივებდა, რომ 1908 წლის ზაფხულში იგლისის მეფეს ედუარდ VII მრავალი შეხვედრა ჰქონდა საფრანგეთისა და რუსეთის ხელმძღვანელებთან. 1908 წლის მაისში საფრანგეთის პრეზიდენტი ფალიერი დიდი გულითადობით მიიღეს ლონდონში და მის პატივსაცემად გამართულ სადილზე, სტუმრებს შორის არ იმყოფებოდა გერმანიის წარმომადგენელი, თუმცა იქ იყვნენ ინგლისელები, ფრანგები და რუსეთის ელჩი ლონდონში ბენკენდორფი7. თუმცა, ეს შეხვედრები ბერლინს არწმუნებდა, რომ ლონდონში გადაწყვეტილი ჰონდათ გერმანიის „გარშემორტყმა“ და ამ პოლიტიკის ინიციატორად მიაჩნდათ ინგლისის მეფე ედუარდ VII[8] . თუმცა, ამის საკმარისი მტკიცებანი არსად ჩანდა და ეს უფრო ბერლინის შიშისა და ეჭვების შედეგი იყო, მაგრამ რაღაც დიპლომატიური „გარშემორტყმის“ მსგავსი რამ მართლაც არსებობდა[9]. ეს ბუნებრივიც იყო, ორი ანტაგონისტური, სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების (ანტანტა და სამთა კავშირი-ვ. ჩ.) არსებობის პირობებში.

ინგლისი იმ დროისათვის ყველაზე ძლიერი საზღვაო სახელმწიფო იყო და გერმანიის აქტიურობა საზღვაო შეიარაღების სფეროში, ურთიერთობის გაუარესებას იწვევდა მათ შორის. ადმირალ ტირპიცის აზრით, თვით ფლოტის მშენებლობის ფაქტი ლონდონში აღიქმებოდა, როგორც წინააღმდეგობა მისი მონოპოლიური ბატონობის შენარჩუნებისათვის და სწორედ ამ მიზეზით, ფლოტის მშენებლობამ გაართულა ურთიერთობა ინგლისთან. ბუნებრივია, ინგლისის მმართველი წრეები ფხიზლად იყვნენ, რადგან ინგლისის მიერ საზღვაო უპირატესობის დაკარგვა მოასწავებდა მისი უზარმაზარი კოლონიური იმპერიის დამსხვრევას. ამიტომ აცხადებდა საადმირალოს პირველი ლორდი, ადმირალი ფიშერი, რომ „ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ვიძინოთ ლოგინში, ვიდრე ჩვენი ფლოტი უძლეველია“.

ინგლისის მთავრობა მრავალჯერ შეეცადა მოლაპარაკებას გერმანიასთან საზღვაო შეიარაღების შემცირების თაობაზე, მაგრამ ბერლინში არ სურდათ დათმობაზე წასვლა.

1908 წელს გერმანიაში დაიწყეს დრედნოუტების დაჩქარებული მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით, ინგლისში დაიწყო ანტიგერმანული კამპანია. ადმირალი ტირპიცი თავისებურად პასუხობდა ამას და წერდა, რომ „საზღვაო პანიკა ინგლიში გამოიწვია ბრიტანეთის საადმირალოს პირველი ლორდის ფიშერის ბოროტმა განზრახვამ“. გერმანიის სამხედრო-საზღვაო პროგრამის პასუხად, საადმირალომ ახალი დიდი თანხები მოითხოვა და მიიღო კიდეც. 1909 წლის მარტში ინგლისის პარლამენტმა დაამტკიცა სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტი 1909-1910 საფინანსო წლისთვის. ერთი წლის განმავლობაში, ინგლისის მთავრობას ნება დართეს აეგო „რვა დრედნოუტი, უფრო პატარა ხომალდების დიდი რაოდენობის ჩაუთვლელად“. იმავე დროს, თუ მთავრობა საჭიროდ ჩათვლიდა, შეეძლო 1911 წელს დაეწყო კიდევ ოთხი დრედნოუტის აგება. ამით ინგლისის მტავრობას სურდა აეძულებინა ბერლინი დათანხმებოდა საზღვაო შეიარაღების შეზღუდვაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, გერმანია იძულებული იქნებოდა გაეღო უზარმაზარი სახსრები გემთმშენებლობისათვის, რაც უთუოდ გავლენას მოახდენდა მის ეკონომიკაზე, რადგან ერთი დრედნოუტის აგება დაახლოებით 50 მილიონი მარკა ჯდებოდა. იმისათვის, რომ საკითხი საზღვაო ფლოტის მშენებლობის შესახებ არ გამხდარიყო მსჯელობის საგანი, გერმანულ პრესას მიეცა მითითება, რომ არ განეხილა ახალი სამხედრო-საზღვაო პროგრამა, რომელიც მიიღო ინგლისის პარლამენტმა 1909 წლის მარტში. მიუხედავად ამისა, ინგლისის მთავრობა მკვეთრად გააკრიტიკეს გერმანიის მილიტარისტულმა წრეებმა და დაადანაშაულეს ის გამალებული შეიარაღების გაჩაღებაში. გერმანიის ელჩი ლონდონში გრაფი მეტერნიხი, საგარეო უწყებისადმი წარდგენილ თავს მოხსენებაში მიუთითებდა, რომ გამალებული საზღვაო შეიარაღება ინგლისთან ომის საფრთხეს შეიცავდა16. 1909 წლისათვის შექმნილ ვითარებას ინგლისსა და გერმანიას შორის მეტერნიხი ასე ახასიათებდა: „აქამდე ინგლისი მზად იყო გამოეყენებინა ევროპული ომის შესაძლებლობა, რათა თავს დასხმოდა გერმანიას, ახლა კი მდგომარეობა გაუარესდა. თუ არ მოხდება შეთანხმება ხომალდების მშენებლობის შეზღუდვის შესახებ, მაშინ ინგლისი, ამიერიდან, თვითონ შეეცდება გამოიწვიოს ომი“.

1909 წლის 3 ივნისს კანცლერმა ბიულოვმა საზღვაო შეიარაღების საკითხებზე საიდუმლო თათბირი ჩაატარა. მასში მონაწილეობდნენ: ადმირალი ტირპიცი, გენერალური შტაბის უფროსი მოლტკე (უმცროსი), გერმანიის ელჩი ლონდონში მეტერნიხი, საგარეო საქმეთა მდივანი შონი, შინაგან საქმეთა სახელმწიფო მდივანი ბეტმან-ჰოლვიგი და სამხედრო-საზღვაო კაბინეტის უფროსი ვიცე-ადმირალი მიულერი. ბიულოვი შეეცადა დათმობისათვის მიეღწია ტირპიცის მხრივ, მაგრამ უშედეგოდ. თათბირის მონაწილეებმა ასევე უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს შეიარაღების შემცირების საკითხისადმი, თუმცა კარგად ესმოდათ, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაძლიერების პოლიტიკა ურთიერთობებს ინგლისთან საკმაოდ ამწვავებდა.

ინგლის-გერმანიის მოლაპარაკებების დროს გერმანიის მთავრობას სურდა, რომ ინგლისთან საზღვაო შეიარაღების საკითხზე შეთანხმებასთან ერთად, საერთოპოლიტიკური შეთანხმებაც დაედო, რაც გულისხმობდა ორმხრივ ნეიტრალიტეტს მესამე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში[19]. მაგრამ ბერლინი ინიციატივას არ იჩენდა და ამით მოლაპარაკებების წარუმატებლობას უწყობდა ხელს. თავის მხრივ, ლონდონსაც ასეთი შეთანხმების დადება არასასურველად მიაჩნდა[20]. ლონდონში თვლიდნენ, რომ ასეთ შეთანხმებაზე დათანხმება ანტანტას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა და ამიტომ კატეგორიული უარი თქვეს მასზე[21]. ასეთ ვითარებაში, 1909 წლის დეკემბრის ბოლოს, ინგლისში საარჩევნო ბრძოლის დაწყების საბაბით, მოლაპარაკებანი შეწყდა. გერმანიის ახალი კანცლერი

ბეტმან-ჰოლვეგი, მიმდინარე მოლაპარაკებების წარუმატებლობაში ინგლისს ადანაშაულებდა: „მოლაპარაკებებმა ვერ მოიტანეს სასურველი შედეგი, რამდენადაც, ერთი მხრივ, ლონდონის კაბინეტმა განსაკუთრებული დაინტერესება ვერ გამოიჩინა მათ წარმატებაში, მეორე მხრივ, ვერ მოინახა ფორმულა, რომელიც საადმირალოს დააკმაყოფილებდა“[22]. არსებითად, ყველა მოლაპარაკება ინგლისსა და გერმანიას შორის ასე მიმდინარეობდა. სხვადასხვა მიზეზით, ხან ერთი მხარე, ხან მეორე-ფუშავდა მლაპარაკებებს. ამან თავისთავად, გამოიწვია ურთიერთობების შემდგომი გამწვავება ორ ქვეყანას შორის, ეს კი ავტომატურად ახდენდა გავლენას ანტანტისა და სამთა კავშირის ურთიერთობებზე.

1908-1909 წლების ბოსნიის კრიზისმა, ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება გამოიწვია და ახალი ბიძგი მისცა გამალებულ შეიარაღებას, მილიტარიზმისა და შოვინიზმის პროპაგანდას გერმანიაში. ბოსნიის კრიზისის თანადროულად, იგლისისა და გერმანიის საზღვაო ფლოტებს შორის მეტოქეობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია[24]. აქედან გამომდინარე, ინგლისმა დააჩქარა საბრძოლოხომალდებისმშენებლობა[25].რაცშეეხებოდაგერმანიას,ვილჰელმIIპირადად იყო დაინტერესებული საზღვაო ფლოტის საკითხებით და საზღვაო უწყებასა და მძიმე მრეწველობასთან ერთად ეწინააღმდეგებოდა საზღვაო შიარაღების შემცირებას და ამით ხელს უშლიდა ინგლის-გერმანიის ურთიერთობების ნორმალიზაციას.

ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ავსტრია-უნგრეთს მიეცა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიის უფლება. კანცლერი ბისმარკი კარგად ხედავდა, რომ ამ ორი პრობლემური ტერიტორიის ანექსიას შეიძლებოდა დრამატული შედეგები მოეტანა და ამიტომ „ვენა აიძულა „შესაფერის მომენტამდე“ გადაედო გადაწყვეტილების რეალიზაცია[27]. რაც შეეხებოდა თურქეთს, ის არ აპირებდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დათმობას, მაგრამ ვენაში ნაკლებად აინტერესებდათ სტამბულის აზრი და უფრო რუსეთთან გარიგებაზე ზრუნავდნენ. ამის შედეგი იყო 1908 წლის სექტემბერში ავსტრია-უნგრეთის ქალაქ ბუხლაუში, რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების იზვოლსკისა და ერენტალის შეხვედრა. რუსეთი იმ პირობით თანხმდებოდა ვენის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსიას, თუ ვენა წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით ესარგებლა. სინამდვილეში ისე მოხდა, რომ ერენტალმა რუსი კოლეგა უსინდისოდ მოატყუა28. ვენამ ისარგებლა შეთანხმებით და 1908 წლის 7 ოქტომბერს იმპერატორმა ფრანც-იოსებმა ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსია გამოაცხადა. ვენამ ისიც ოფიციალურად აღნიშნა, რომ რუსეთი ანექსიაზე თანახმა იყო. „პარიზში მყოფმა იზვოლსკიმ ეს ყველაფერი ფრანგული გაზეთებიდან შეიტყო და სხვა არაფერი დარჩენოდა - მან ბუხლაუს შეთანხმების დეზავუირება მოახდინა“29. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1909 წლის თებერვალში ვენამ სტამბულთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის შესაბამისად, 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგის საფასურად, სულთანმა უარი თქვა ბოსნია-ჰერცეგოვინაზე30. აქ საინტერესო იყო თვით ამ მოვლენის შედეგი: დიდმა სახელმწიფოებმა აღიარეს ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსია31. საგარეო საქმეთა მინისტრმა ერენტალმა გრაფის ტიტული მიიღო. რაც შეეხებოდა იზვოლსკის, ის გადადგა და პარიზში ელჩად დაინიშნა. „ახალი მინისტრი გახდა ფრთხილი და მრავალგზის გათვლილი გადაწყვეტილებების მომხრე, სერგეი საზონოვი“.

ლონდონი ცდილობდა ხელი შეეშალა გერმანიის პოზიციების განმტკიცებისათვის ბალკანეთზე, რომელიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული რაიონი იყო აზიისაკენ მიმავალ გზაზე. გერმანია უძლიერესი სახელმწიფო იყო არა მხოლოდ ეკონომიკით, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც. თუმცა, საზღვაო შეიარაღებით გერმანია

ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩებოდა ინგლისს. ამიტომ მომენტს გერმანიასთან ბრძოლისათვის ხელსაყრელად მიიჩნევდნენ ლონდონში საზღვაო ომის მომხრეები. მაგრამ, ლონდონში ისიც კარგად იცოდნენ, რომ საფრანგეთი და რუსეთი ომისათვის მზად არ იყვნენ.

1909 წლის 9 თებერვალს ბერლინს ესტუმრა ინგლისის მეფე ედუარდ VII. მისი ვიზიტის დასასრულს, გერმანიაში გამოქვეყნდა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ გერმანიასა და ინგლისს შორის მიღწეული იქნა ურთიერთგაგება. ეს იყო აშკარა სიყალბე, რადგანაც გერმანიას აზრადაც არ მოსვლია ხელი შეეწყო კონფლიქტის მშვიდობიანი დასრულებისათვის და არ სურდათ არავითარი შუამავლობის გაწევა ავსტრი-უნგრეთსა და რუსეთს შორის. არც საფრანგეთს სურდა ვითარების გამწვავება რუსეთისათვის მხარდაჭერით[33]. ინგლისი, თავისი პოლიტიკის ერთგული, ასევე ორჭოფულად იქცეოდა[34]. შექმნილ ვითარებაში, ლონდონისა და პარიზის პოზიციამ, როცა ბერლინი აქტიურად უჭერდა მხარს ვენას, განაპირობა კიდეც ბოსნიის კრიზისის დასრულება, რომელშიც რუსეთმა დიდი დიპლომატიური მარცხი განიცადა[35]. ამჯერად, მას ანტანტის წევრობა არაფერში არ გამოადგა. ეს იყო ინგლისის დიპლომატიის მოქნილი მოქმედების შედეგი. წარუმატებლობამ ბალკანეთზე, რუსეთს უბიძგა კიდევ უფრო დაახლოვებოდა მოკავშირეებს და ამით გაენეიტრალებინა ვენისა და ბერლინის გავლენა ბალკანეთზე.

1905-1909 წლების ბურჟუაზიულმ რევოლუციამ და არეულობამ სპარსეთში, სერიოზული უთანხმოება გამოიწვია ინგლისსა და რუსეთს შორის, რომლებიც მეტოქეები იყვნენ სპარსეთში გავლენის სფეროებისათვის ბრძოლაში. ბერლინში მათ მეტოქეობას კმაყოფილებით ხვდებოდნენ, რადგან ამაში ხედავდნენ შესაძლებლობას ფეხი მოეკიდებინათ სპარსეთში,თავის კოლონიად გადაექციათ და გამოეყენებინათ როგორც პლაცდარმი ინგლისისა და რუსეთის სამფლობელოებზე თავდასხმისათვის36. გერმანიის შესაძლო შეჭრა სპსრსეთის ყურის აუზში საფრთხეს უქმნიდა როგორც რუსეთის, ასევე ინგლისის ინტერესებს. სპარსეთის ყურისკენ გერმანიის წინსვლით შეშფოთებული ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლენსდაუნი თემთა პალატაში გამოვიდა განცხადებით, რომ ინგლისის მმართველმა წრეებმა უნდა „განიხილონ რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიერ სპარსეთის ყურეში გამაგრებული ნავსადგურის შექმნა, როგორც სერიოზული მუქარა ბრიტანეთის ინტერესებისათვის და რა თქმა უნდა, ვალდებულნი არიან წინააღმდეგობა გაუწიონ ამას მათ განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებით“[37].

სპარსეთის მთავრობამ მიიღო როგორც ლონდონის, ისე პეტერბურგის მოთხოვნა, მათთან კონსულტაციების გარეშე არავისთვის არ მიეცა რკინიგზის მშენებლობის კონცესია. ბერლინი მტრულად შეხვდა მოწინააღმდეგეთა ასეთ პოზიციას, რადგან იგი მიაჩნდა სპარსეთში ეკონომოკური თანასწორობის დარღვევად და თავის მხრივ, მოითხოვა მოლაპარაკებები სპარსეთის საკითხზე. ლონდონმა პარიზთან ერთად მიმართა ღონისძიებებს, რათა ზეგავლენა მოეხდინა რუსეთზე, რომ მას გერმანიასთან დაახლოება არ ეცადა. თუმცა, ამის საჭიროება არ იყო, რადგან რუსეთი ისედაც არ ფიქრობდა ამის შესახებ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტანტისთვის, რადგან ამ დროისათვის წინააღმდეგობანი ინგლისსა დაგერმანიას შორის ძალიან გამწვავდა[38].

1910 წლის ნოემბერში, ნიკოლოზ II საგარეო საქმეთა მინისტრის თანხლებით, ვილჰელმ II-ს პოტსდამში შეხვდა. გერმანიის დიპლომატია შეეცადა ამ ვიზიტის გამოყენებას, რათა შეემოწმებინა ანტანტის სიმტკიცე. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კიდერლენ-ვეხტერი ყველანაირად ცდილობდა უთანხმოება შეეტანა ინგლის-რუსეთის ურთიერთობებში და არწმუნებდა საზონოვს უარი ეთქვა ინგლისის

პოლიტიკისადმი მხარდაჭერაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს პოლიტიკა მიმართული იქნებოდა გერმანიის წინააღმდეგ. სპარსეთის მიმართ გერმანიამ კვლავ დაადასტურა, რომ არ ჰქონდა იქ პოლიტიკური ინტერესები და ესწრაფვოდა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას[39]. საზონოვი მიესალმა გერმანიის პოზიციას და განაცხადა, რომ პეტერბურგი არ ფიქრობდა მხარი დაეჭირა ინგლისისათვის, თუ ის ანტიგერმანულ პოლიტიკას გაატარებდა, რადგან რუსეთსა და გერმანიას, როგორც მეზობელ სახელმწიფოებს, მეგობრულად უნდა ეცხოვრათ[40]. კიდერლნ-ვეხტერი კმაყოფილი დარჩა რუსეთის პოზიციით, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლიდა, რადგან სინამდვილეში, პეტერბურგში აზრადაც არ მოსვლიათ ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რაც ინგლისთან დაპირისპირებას გამოიწვევდა და მაშასადამე ანტანტის ერთსულოვნებასაც საფრთხეს შეუქმნიდა. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ იმ ეტაპზე საქმე შეთანხმების ხელმოწერამდე არ მისულა გერმანიასა და რუსეთს შორის. ამის მიუხედავად, ბერლინი ცდილობდა ეჭვები დაეთესა ანტანტის მოკავშირეებს შორის. ამაზე მეტყველებდა კანცლერ ბეტმან-ჰოლვეგის განცხადება რაიხსტაგში, რომ ბერლინმა და პეტერბურგმა შეთანხმებას მიაღწიეს. ამ განცხადებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია ლონდონსა და პარიზში[41], რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მოლაპარაკებანი გერმანიასა და რუსეთს შორის მხოლოდ სპარსეთის საკითხს და ბაღდადის რკინიგზის მშენებლობას შეეხებოდა. ლონდონში და პარიზში გადაწყვიტეს ერთობლივად მოეხდინათ ზეგავლენა რუსეთზე, თუმცა ამის საჭიროება არ არსებობდა. რუსეთი ისედაც არ აპირებდა გერმანიასთან რაიმე შეთანხმების დადებას, რომელიც თავის მოკავშირეებს დააშორებდა.

დასკვნა

ინგლის - გერმანიის ურთიერთობა 1908-1910 წლებში დაძაბულობით გამოირჩეოდა, რაც საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე ევროპაში დიდ გავლენას ახდენდა. აქედან გამომდინარე, ლონდონი ლავირების პოლიტიკას აქტიურად იყენებდა, რომ დიპლომატიის მეშვეობით ემოქმედა შექმნილ სიტუაციაზე. ინგლის-გერმანიის ურთიერთობები დაიძაბა საზღვაო შეიარაღების საკითხებზე, რადგან ლონდონი და ბერლინი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობაზე სახსრებს არ ზოგავდნენ. ინგლისი ყველაზე ძლიერი საზღვაო სახელმწიფო, ცდილობდა ასეთი მდგომარეობის შენარჩუნებას და ამ მიზნით, გერმანიასთან საზღვაო შეიარაღების შემცირების თაობაზე მოლაპარაკებასაც აწარმოებდა, თუმცა უშედეგოდ. ამ გარემოებამ გამოიწვია ურთიერთობების შემდგომი გამწვავება ორ ქვეყანას შორის, რაც ავტომატურად იწვევდა ანტანტისა და სამთა კავშირის ურთიერთობების გაუარესებას. ბოსნიის კრიზისმა 1908-1909 წლებში და სპარსეთის საკითხმა 1905-1909 წლებში კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობები ინგლისსა და გერმანიას შორის. ეს ნიშნავდა, რომ დიდი უთანხმოება ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ლიდერებს შორის, დიდი გართულებებით ემუქრებოდა ევროპას.

გამოყენებული ლიტერატურა და შენიშვნები:

1. Г. Хальгартен. Империализм до 1914 года. Пер. с нем., М., 1961, с. 224.
2. А. Тирпиц. Воспоминания. Пер. с нем., М. 1957, с. 42.
3. П. Рорбах. Война и германская политика. Пер. с нем., М., 1915, с. 52-53.
4. С. Фей. Происхождение мировой войны. Пер. с анг., т. 1. М.-Л., 1934, с. 172.
5. Э. Лемонон. Англия и Германия. Пер. с фран., М.-Л., 1925, с. 89.

6. Deutschland im Ersten Weltkrieg, Bd., 1. Berlin, 1970, S. 107.
7. С. Фей, указ. Соч., с. 172.
8. Там же, с. 177.
9. Там же.
10. А. Тирпиц, указ. соч., с. 21.
11. Д. Ллойд Джордж. Военные мемуары, т. 1-2. Пер. с анг., М., 1934, с. 151.
12. Г. Хальгартен, указ. соч., с. 228.
13. П. Рорбах, указ. соч., с. 228.
14. ვ. ჩოჩია. გერმანია. 1904-1914. თბ. 2008, გვ. 238.
15. Die Grosse Politik der Europäischen Kabinette. Sammlung der Diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Bd. 1-40. Berlin, 1922-1927. – Bd. 28, № 10264, S. 92-93.
16. История дипломатии, т. II, М., 1963, с. 684.
17. Die Grosse Politik, Bd. 28, № 10288, S. 128.
18. Ibidem, № 10306, 1909 წლის 3 ივნისის თათბირის ოქმი.
19. ჰ. კისინჯერი. დიპლომატია. თარგ. ინგ., თბ. 2021, გვ. 247.
20. Die Grosse Politik, Bd. 28, № 10355, S.259.
21. თ. შარაშენიძე. დიპლომატიის ისტორია. 1890-1920. თბ., 2015, გვ., 24.
22. Т. Бетман-Гольвег. Мысли о войне. Пер. с нем., М.-Л., 1925, с. 27.
23. А. Г. Задохин, А. Ю. Низовский. Пороховой погреб Европы. М., 2000, с. 98.
24. Хальгартен, указ. соч., с. 397.
25. Э. Брикс, П. Клэвин. Европа нового и новейшего времени. Пер. с англ., М., 2006, с. 187.
26. История дипломатии, т. II, с. 686.
27. ი. ცინცაძე. დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე. თბ., 2016, გვ. 251.
28. იქვე, გვ. 255.
29. იქვე.
30. ა. მენთეშაშვილი. საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II, 1799-1918. გვ. 471.
31. См. История дипломатии, т. II, с. 661-662.
32. ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 258.
33. А. М. Зайончковский. Подготовка России к мировой войне в международном отношений. Л., 1926, с. 94.
34. И. И. Астафьев. Русско-Германские дипломатические отношения 1905-1911 гг. М., 1972, с. 170.
35. ჰ. კისინჯერი, დიპლომატია, გვ., 250.
36. М. С. Иванов. Очерки истории Ирана. М., 1952, с. 218-219.
37. М. Брукс. Нефть и внешняя политика. М., 1949, с. 57.
38. "Красный архив" 1923, т. 3, с. 6.
39. Die Grosse Politik, Bd. 27, T. 2, № 10155, S. 842.
40. Ibidem, №10159, S. 846.
41. H. Herzfeld. Die Deutsche Rüstungspolitik vor dem Weltkriege. Bonn und Leipzig, 1923, S. 18.

რეზიუმე

გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარება ძირითადად ინგლის-გერმანიის დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ის გარემოება, რომ საზღვაო ფლოტის მშენებლობა სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობდა, რაც საერთო ვითარებას ამძიმებდა. მძლავრი საზღვაო ფლოტის შექმნას თვითონ

იმპერატორი ვილჰელმ II მფარველობდა, რაც ძლიერი ფლოტის შექმნის მომხრეებს საქმეს უადვილებდა. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტი მსოფლიოში უძლიერესი იყო, ამიტომ ძლიერი კონკურენტის გამოჩენამ წინააღმდეგობები გერმანიასთან გააღრმავა. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა "დრედნოუტების" გამოჩენის შემდეგ. ბერლინი ენერგიულად შეუდგა საზღვაო ფლოტის გაძლიერებას და დრედნოუტების გამოჩენამ ბერლინს შანსი მისცა დიდი ჩამორჩენა ინგლისის ფლოტთან შედარებით, სწრაფად აღმოეფხვრა. ბერლინი დიდ თანხებს გამოყოფდა საზღვაო ფლოტის მშენებლობაზე და შედეგიც საგრძნობი იყო. ლონდონი ცდილობდა მოლაპარაკებების გზით შეეზღუდა გერმანიაში ძლიერი ფლოტის მშენებლობა, მაგრამ წარუმატებლად. ბერლინი, თავის მხრივ, ცდილობდა მოლაპარაკებები საზღვაო ფლოტის მშენებლობის თაობაზე გამოეყენებინა მოწინააღმდეგეთა გათიშვისათვის, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. გერმანიის მმართველი წრეები ცდილობდნენ აგრესიული პოლიტიკის გატარებას ძლიერი არმიისა და საზღვაო ფლოტის დახმარებით და დიდ ომში ჩაბმას მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მიზნით.

ANGLO-GERMAN RELATIONS IN 1908-1910

Vaja Chochia

Gori State University

The development of the German navy took place mainly against the backdrop of the Anglo-German confrontation. It was also important that the construction of the navy was underway in other countries, which aggravated the general situation. The creation of a powerful navy was patronized by Emperor Wilhelm II himself, which made it easier for supporters of the creation of a strong navy. The British navy was the strongest in the world, so the appearance of a strong competitor deepened the contradictions with Germany. This became especially clear after the appearance of the "dreadnoughts". Berlin energetically began to strengthen the navy, and the appearance of the dreadnoughts gave Berlin a chance to quickly eliminate the significant lag behind the British fleet. Berlin allocated large sums of money for the construction of the navy, and the result was tangible. London tried to limit the construction of a strong navy in Germany through negotiations, but unsuccessfully. Berlin, for its part, tried to use negotiations on the construction of a navy to isolate its opponents, but failed. The German ruling circles tried to pursue an aggressive policy with the help of a strong army and navy and engage in a major war with the aim of redistributing the world.

Key words: Edward VII, Wilhelm II, Admiral Tirpitz, London, Berlin, Vienna.